გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი    საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    1877—1887 წელიწადი



მიიღება ნახევარ-წლის ხელის-მოწერა

ყოველ-დღიურ რუსულს გაზეთს

## „ნოვოე ობოზრენიე“-ზე

(ახალი მიმოხილვა)

ხელის-მოწერის ფასი: 1887 წლის 1-ლ ივლისიდგან 1888 წლის 1-ლ იანვრამდე ჰღირს 6 მან. შინ მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით.

ხელის-მოწერა მიიღება ამ გაზეთის კანტორაში: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, სახ. № 27. (3—2)



შინაარსი: ტფილისი, 7 ივლისი.—ქართული წიგნთ-საცავი.—ახალი ამბავი. — დაბა-და-სოფელი: ა) სოფ. გოხა-ჯიხაიში; ბ) სოფ. ურიათ-უბანი.—რუსეთი.—უცხოეთი.—წვრილი ამბები.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: ელენეს დღიური (ნათარგმნი მოთხრობა), ორ-ანისა.


ტფილისი, 7 ივლისი

ჩვენი მაღალი წოდება ერთად-ერთი წოდება იყო ჩვენს წარსულში, რომელიც ავად თუ კარგად განსაკუთრებითს ფერსა სდებდა ერისა და ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას. იგი იყო წინა რაზმი და მაზედვე იყო დამოკიდებული ჩვენის ქვეყნის თავ-გადასავალი. ამიტომაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მას უნდა გამოენასკვა აზრი ცხოვრებისა და გულში დაემკვიდრებინა ანდერძად, როგორც თავის სახელმძღვანელოდ, ისე გარდასაცემად თავის შთამომავლობისათვის. ამ ანდერძის აზრი ის არის, რომ იგი წოდება უნდა ემსახუროს თავის ქვეყნის საყოველთაო საქმეს. ჩვენ შეძლებისამებრ ავხსენით ის გარემოება, თუ როგორ დააუძლურა ჩვენი თავად-აზნაურობა და მასთან ერთად მთელი ერი ბედ-შავმა წარსულმა, თუ რა მიზეზის გამო ვერ მოუთავსდა იგი ახალს გარემოებას. ამაზე შეძლებისამებრ საკმაოდ ვილაპარაკეთ და კვლავ სიტყვის გაგრძელება—განმეორებაღა იქნება.

რა გზით და რა საშუალებით უნდა აესრულებინა ისტორიულის ანდერძის აზრი? მშვიდობიანის გონებრივის და ზნეობრივის შრომით, და ამ შრომის იარაღად უნდა აერჩია წმინდა, ნამდვილი სწავლა-განათლება, რომელიც საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ საითკენ და რა გზით უნდა მისწრაფებოდე საკეთილო წარმატებისათვის. ხოლო ჩვენი მაღალი წოდება ვერ მიუხვდა დროთა-ვითარების აზრს.

ამ საგნის მიუგნებლობამ ჩვენს თავად-აზნაურობას ბევრი საკუთარი და სხვისი ძალ-ღონე დააკარგვინა, უნაყოფოდ მოაცდინა, მრავალი ქონება გააოხრებინა, და ყოველივე ესე ჩვენს ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა. ერთის სიტყვით, იმ წოდებამ ვერ აღასრულა უპირატესობით აღჭურვილი დანიშნულება და საზოგადოებას თვისდამი გული გაუგრილა. „ვსწყევლი ფუჭად წარსულსაო“ შეუძლიან სთქვას ჩვენმა თავად-აზნაურობამ, თუ განკითხვის თვალით გადახედა იმ ხანას თვისის შავბედის ცხოვრებისას, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ, და აგრეთვე დღევანდელს თვის მდგომარეობას, და თუ მან იგრძნო „ფუჭად წარსული“, მაშინ კიდევ იმედია, რომ მასში ცხოველია ძალაა, რომელსაც შეუძლიან აშრომოს და უქმობა საქმიანობად აქციოს. მაშინ იგი დაიჭერს ფართო გზას და შეუდგება რთულს საგანს, ზნეობრივის, გონებრივის და ეკონომიურის წარმატებისას და მხოლოდ მაშინ აღასრულებს თავის მოვალეობას ერის წინაშე. თუ ამ გვარს საგანს შეუდგა ჩვენი მაღალი წოდება, მაშინ, უეჭველია, ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც ფერს იცვლის, და იგი წოდება თვის ბედნიერებას ააგებს ნამდვილს ადამიანურს ღირსებაზე და ერსა და ქვეყანას სარგებლით დაუბრუნებს სესხსა და ვალსა.

თუ ვინიცობაა, ჩვენმა თავად-აზნაურობამ ვერ მიაგნო ამ ჭეშმარიტს საგანს თვისის მოღვაწეობისას და მაშინ ნუ დავივიწყებთ იმასა, რომ ცხოვრება სასტიკი და გულცივია, მისი ლოღიკა შეუბრალებელი და სამართლიანია. როგორც წინანდელს წერილში ვსთქვით, ცხოვრება ვერ იშვნევს მეტ-ხორცსა და სცდილობს სამართლიანი მსჯავრი დასდოს მათ, ვისაც ბრალიანად იცნობს. ცხოვრება სდევნის იმას, ვინც ვერ ეწევა მის უღელს და წუთის სოფლის სუფრაზედ ადგილს არ აძლევს.

მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდით: იმედი გვაქვს, რომ იგი არ გაგვკიცხავს ზოგიერთა არა ვრცლად განმარტებულ აზრებისათვის.

ა. ნა—ლი

## ქართული წიგნთ-საცავი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დაარსებისათანავე, სხვათა-შორის ერთს საქებურს და სასარგებლო საქმეს შეუდგა. საზოგადოებამ განიზრახა შეეკრიბა ძველი თუ ახალი აქ-იქ გაფანტული წიგნები ქართულს ენაზედ, გაემართა წიგნთ-საცავი, ყველა ამ წიგნებისათვის აქ მოეყარა თავი და ამ სახით შეენახა საშვილი-შვილოდ ჩვენ წინაპართა თუ აწინდელთა მოღვაწეთა გონების ნამოქმედარი. საზოგადოების მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია. დღეს საზოგადოებას, ცოტად თუ ბევრად, თავის განზრახვა სისრულეში მოუყვანია. საზოგადოების წიგნთ-საცავში დღეს თითქმის ათასამდე სხვა-და-სხვა სახელის წიგნი ითვლება მარტო ქართულს ენაზე. ჩვენ აღარას ვამბობთ სხვა ენებზე ნაწერ წიგნებზე, რომელთა რიცხვიც კარგა ბლომად არის საზოგადოების წიგნთ-საცავში. შვიდი-რვა წლის განმავლობაში ასეთის წიგნთ-საცავის გამართვა კარგი სასიამოვნო ამბავია! ღმერთმა ჰქმნას, შემდეგში უფრო კარგად წასულიყოს ეს საქმე და საზოგადოების წიგნთ-საცავი უფრო გამდიდრებულიყოს. იმედი გვაქვს, რომ როგორც დღემდის, ისე ამას იქითაც ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობას არ მოაკლებს, ხელს მოუმართავს წერა-კითხვის საზოგადოებას და, თუ კიდევ ვისმე მოეპოვება ძველი ხელთ-ნაწერი ანუ ნაბეჭდი წიგნი, არ დაიშურებს საზოგადოებას მოაწოდოს და ამით დიდს სამსახურს გაუწევს ამ საქმესაც და ქვეყანასაც: გაცილებით სჯობია, წიგნი საზოგადოების წიგნთ-საცავში იყოს, რომ ყველამ ისარგებლოს და გამოიყენოს, ვიდრე აშმორებულ განჯინაში ლპებოდეს.

საზოგადოების წიგნთ-საცავი დღეს რიგშია მოყვანილი და შედგენილია ვრცელი კატალოგი, რომელიც უკვე დაიბეჭდა კიდეცა. კატალოგში ყველა წიგნია მოხსენებული, რაც ქართულ ენაზე არის წიგნთ-საცავში. დიდის მადლობის ღირსია საზოგადოების მდივანი, ბ-ნი მთვარელიშვილი, რომელსაც უკისრნია და აუსრულებია კიდეც ეს არა-ადვილი საქმე.

კატალოგში შვიდი უმთავრესი განყოფილებაა: ა) ღვთის-მეტყველება, ქადაგებანი, ლოცვანი; ბ) ფილოსოფია, საპოლიტიკო მეცნიერება, კანონ-მდებლობა, პუბლიცისტიკა; გ) ბუნების მეცნიერება, ექიმობა, სასოფლო მეურნეობა, ტეხნოლოგია, მათემატიკა, ხუროთ-მოძღვრება, ნავოსნობა; დ) გეოგრაფია, ისტორია, წმიდათა ცხოვრება, საეკკლესიო ისტორია, სტატისტიკა, ბიოგრაფია, ნუმიზმატიკა, არქეოლოგია, აღწერა წმიდათა ადგილთა; ე) სიტყვა-კაზმული ლიტერატურა, მჭევრ-მეტყველობა, პოეზია, ბიბლიოგრაფია, კრიტიკა, სახალხო გადმოცემა; ვ) პედაგოგია, საყმაწვილო წიგნები, გრამატიკა, ლექსიკონი, კალენდრები, ნარევი და ზ) პერიოდული გამოცემანი—ქართული ჟურნალ-გაზეთობა.

კატალოგს წინა-სიტყვაობა აქვს ჩართული. წინა-სიტყვაობაში განმარტებულია, რა წესით და რა რიგით არის წიგნები დაბეჭდილი. ყველა ამას მკითხველი თავის თვალით თვით კატალოგში ჰნახავს და ჩვენ-კი ბოლოს მხოლოდ ერთს გარემოებას აღვნიშნავთ:—ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ, დიდის პატივის-ცემით მოვიხსენიოთ და საქვეყნოდ განვუცხადოთ გულითადი მადლობა უუგანათლებულესს თავადს სამეგრელოსას ნიკოლოზ დავითის ძეს და თავ. გრიგოლ დავითის

# ფელეტონი

## ელენეს დღიური

(შემდეგი*)

სამშაბათი, 15 ივნისი.

არც გუშინ და არც გუშინწინ არა ჩამიწერია-რა დღიურში; ვერ მოვასწარ, ცალკე სტუმრებმა შემიშალეს ხელი და ცალკე კიდევ იმან, რომ სამგზავროდ ვემზადებოდი და ათასი რამ საყიდელი ვივაჭრე. კვირა დღეს ლუჩია მაცოლასთან ვიყავი, იმ ლუჩიასთან, რომელზედაც ჯემმა ნორინი ამბობს, რომ წელიწადში ორორსა ჰშობავსო. მართლაც და, ლუჩიას ცხოვრებასა და მდგომარეობას რომ უყურებს კაცი, გათხოვება სძულდება. მე რომ მიველი, ხუთი ყმაწვილი ეხვია გარსა და მეექვსეზედ დასაწოლი იყო. და მერე როგორ გამოცვლილა! ადრე ისეთი ლამაზი იყო და ეხლა-კი თმა ჩამოსვლია, თვალები ამღვრევია, გამხდარა, სახე ჩაჰყვითლებია. ყმაწვილებს როგორიღაც ბოროტის სინაზით ეპყრობა, თუ შეიძლება ასე თქმა. ყოველ წუთს ჰკიცხავს; ხან ერთს გაჰკრავს, ხან მეორეს და სწყევლის ხოლმე, როცა დაინახავს, რომ რომელიმე ყმაწვილი მოუსვენარობს და ძალიანა ცელქობს.

— ღონე აღარა მაქვს, ღონეო,—ამბობდა ლუჩია:—ერთი საათი მოსვენება არა მაქვს, არც დღე და არც ღამე... იცი, ხშირად ისეთს გუნებაზე მოვალ ხოლმე, რომ გაჩენის საათს ვიწყევლი; და ან რა სიცოცხლეა ისეთის ხელ-მოკლე ოჯახის სიცოცხლე, როგორიც ჩვენა ვართ. ზოგიერთთ ძალიან ეშინიანთ ხოლერისა! ნეტავი არ იქნება, რომ შენ სადღეგრძელოდ მომედოს ეგ ხოლერაა რაღაცა საიდგანმე და ამდენს ჭირსა და ვაებას მომაშოროს!.. ჰკვიანად იყავ, მინო! მარიო, რა გინდა, რად ებღაუჭები სკამსა?.. ტულლიო, ნუ ცოცავ ტახტზე... ათასჯერ მითქვამს შენთვის... აგერ, ის კიდევ ფარდას ჩამოჰკანტურებია... ერთი-და-ერთი გამომიცხადებია თქვენთვის, რომ ფარდებს ხელს ნუ ახლებთ-მეთქი! ახ, ღვთის-მშობელო დედაო! ჯერ ერთისაგან არის და გული გაწვრილებული მაქვს, და როცა ხუთნივ ერთად შეიყრებიან, მაშინ ხომ რაღა—სიცოცხლე გამწარებული მაქვს სწორედ...

ამასობაში ლუჩიას წკეპლა ეჭირა ხელში და ხან ერთს ცელქს უწკაპუნებდა, ხან მეორეს; წკეპლის ხმას ბანს აძლევდნენ ყმაწვილები თავიანთის ღრიალითა და ტირილით.

— ამ დღესასწაულებზე ცუდი არა იქნება-რაო,—ამბობდა ლუჩია:—დღესასწაულ დღეებში ეს ჭირები შინა რჩებიან, სასწავლებელში აღარ მიდიან და აკლებული აქვსთ აქაურობა.

დიდხანს არ დავრჩენილვარ ლუჩიასთან; ორიოდე სიტყვა ვუთხარ, გამოვუცხადე, რომ საქართველოში ვაპირებ წასვლასა-მეთქი და გამოვემშვიდობე. ვგონებ, ლუჩიას არ ესმოდა, თუ რამ სიშორეს ვაპირებდი წასვლას.

— მშვიდობის მგზავრობა მოგცეს ღმერთმაო,—ამბობდა ლუჩია. როცა ვენეციაში დაბრუნდები, თუ კიდევ მომიგონებ და მნახავ, ძალიან მასიამოვნებ. ხოლო ისე-კი მოახერხე, რომ დღესასწაულ დღეს არ მოხვიდე. ნახვამდის... არ გათხოვდე, ქმარი არ შეირთო, არ გირჩევ.

აგერ რამდენიმე დღეა სულ წვიმს და წვიმს კოკი-პირულად. გუშინ მშვენიერი საღამო იყო; სინიორა ჩელესტამ მთხოვა გავისეირნოთო: ჯულია სორენი გავაცილეთ სახლამდე და შემდეგ ჩვენ ორმა მოლზე ჩამოვიარეთ. პიაცცეტთან, დოჟების სასახლის თაღებ ქვეშ, მიგორავდნენ ტალღები, რომელთაც ზემოდგან მთვარე დაჰნათოდა და ავერცხლისფროვნებდა; მშვენიერნი შენობანი წმ. მარკოსის და წმ. თევდორეს ეკკლესიათა იხატებოდნენ ლურჯად მოწმენდილს და გაკამკამებულს ცაში; შორს მოჩანდა წმ. გიორგის კუნძული და უფრო სასიამოვნოდ ჰკაზმავდა ბუნების სურათს. ისეთი ნათელი საღამო იყო, რომ მოლადგან ადამიანი ადვილად გაუწვდენდა თვალს სადისა და ლიდოს ქუჩებს. სიჩუმე სუფევდა გარშემო, ისეთი სიჩუმე, თითქოს ამ ქალაქიდგან ყველანი გახიზნულან და უპატრონოდ, ვერანად დაუტოვებიათ აქაურობაო; ზღვაზედ წყნარადა დუდუნებდნენ ზვირთები,—არც ერთის ნავის ნიჩბის ხმა, არც ორთქლთ-მავალის სტვენა. გულხელ დაკრებილი მენავეები იდგნენ ნავებზე და დრო-გამოშვებით გაჰყვირებდნენ ხოლმე:—«ნავი, ნავი!» არავინ ხმას არ იღებდა, არავინ პასუხს არ აძლევდა. შორს მოჩანდა ერთი საშინელი, დაღონებული და პირ-დაღრეჯილი ნავი; ეს ის ნავი იყო, რომელზედაც ხოლერით ავადმყოფები წმ. კოსმას საჰკურნალოში გადაჰყავდათ; ნავი ჯუდეკკისაკენ მიცურავდა...

ერთი-ორიოდე ნაბიჯიც გადავდგით და მარმარილოს საფეხურზედ ჩამოვსხედით, ხიდთან. ირგვლივ ადამიანი არა ჰჭაჭანებდა. ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ ის ყავახანები, რომლებშიაც წინა წლებში ამ დროს ხალხი ჟივჟივებდა, ყაყანებდა, მოძრაობდა, და შორს გაისმოდა მუსიკის ხმა; ეხ-

*) იხ. „ივერია“ №№ 132, 133, 134, 135 და 137.

ძეს გურიელს, რომელთაც დიდი განძი შეუწირავთ საზოგადოების წიგნთ-საცავისათვის. სამეგრელოს თავადის ნიკოლოზისაგან შემოწირული ძვირფასი ხელთ-ნაწერებიო, ვკითხულობთ წინა-სიტყვაობაში, აწყვია საკუთარს შკაფში და საზოგადო კატალოგში უჭირავს ადგილი 247-დამ 426 ნომრამდე.

„აქვე უნდა მოვიხსენიოთო, — ვკითხულობთ იმავე წინა-სიტყვაობაში:— ბ-ნი დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი და ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილი, რომელთაც აღუთქვეს საზოგადოებას: პირველმა თავის წიგნთ-საცავის შემოწირვა და მეორემ—მუზეუმისა."

ღმერთმა ჰქმნას, ასეთის საქვეყნო საქმის გულ-შემატკივარნი და ხელ-გაშლილნი შემომწირველნი კიდევ ბლომად აღმოჩენილიყვნენ. მ.

# ახალი ამბავი

*** † ექვსს ივლისს საღამოზე მოვიდა დეპეშა, რომ მანგლისში გარდაიცვალა ალექსანდრე ვასილის-ძე სტეფანოვიო... განსვენებულს სტეფანოვს ჩვენში სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც ნიჭიერს ნაფიც ვექილსა და მცოდნე კაცს. ეს მეოთხე წელიწადია, რაც განსვენებული რედაქტორობდა და ჰბეჭდავდა ტფილისში გაზეთს „Новое Обозрѣніе"-ს. ხოლო ამ პირველს ივლისს დაანება თავი ამ გაზეთს, მიჰყიდა სხვასა და, ავად-მყოფობის გამო, წავიდა მანგლისს, სადაც ასე მალე მოჰშორდა წუთი-სოფელსა.

*** მანგლისიდამ ბ-ნი ხაჩატუროვი დეპეშით გვაცნობებს, რომ განსვენებულს სტეფანოვს დაჰმარხავენ ტფილისში ამ ხუთშაბათს დილით.

*** დღეს მივიღეთ დაბეჭდილი ქართულს ენაზე კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავისა, ნაწილი პირველი. კატალოგი შედგენილია ბ-ნის მ. მთვარელიშვილის მიერ, რომელიც უკანასკნელ დრომდის იყო საქმეთა მწარმოებლად აღნიშნულის საზოგადოებისა.

*** გუშინ, შვიდს ამ თთვისას, სასამართლო პალატაში დანიშნული იყო საქმე რამდენისამე ოზურგეთელისა, რომელთაც ჰბრალდებათ ყალბის ფულის მოჭრა და გავრცელება ხალხში.

*** შემდეგი წიგნები გამოვიდა რუსულს ენაზე კავკასიის მხრის შესახებ: აბელიანცის შეკრებილი ცნობა ბაქოს გუბერნიის გეოქ-ჩაის და შემახიის მაზრების სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე. ეს წიგნი ნაწილია საზოგადო შრომისა, სახელად გამოკვლევა სახასო გლეხთა ქონებასა და შეძლებაზე. მეორე თხზულება ბ-ნის პატტოსი პეტერბურგშია გამოსული და შეადგენს მესამე ნაწილს იმის თხზულებისას, რომელსაცა ჰქვიან: კავკასიის ომი, აღწერანი, შემთხვევები, ლეგენდები და ბიოგრაფიები, ეს ნაწილი შეიცავს: 1) ძველი სომხეთი, 2) გაქრისტიანებული სომხეთი და 3) აღდგენა სომხეთისა.

*** ქუთაისიდამ „მშაკში" იწერებიან, რომ ივნისის 26-ს იქაურ სომეხთ ეკკლესიის სასწავლებელში შეგირდების წლიური გამოცდა ჰქონიათ მშობლების თანადასწრებით. უნდა აღვიაროთო, ამბობს მომწერი: რომ ქართულად მოლაპარაკე სომხის ყმაწვილებს სომხურს ენაში დიდი წარმატება ეტყობათო.

*** გაზ. „ახალ. მიმოხ."-საც მოჰსვლია ამბები მიწის-ძვრაზე ლანჩხუთიდამ, ფოთიდამ და სხვა ადგილებიდამ. ზოგან თურმე ისეთ ღონიერი იყო მიწის-ძვრა, რომ სახლების კედლები გაბზარა, მატარებელი უნდა შეეყენებინათ, რადგან ვაგონებს აქედ-იქით ისროდა და რკინის გზის სადგურებში ხალხი ბოძებს ეჭიდებოდა, რომ არ წავიქცეთო. სადგურს სუფსაში თურმე გააფუჭა სადგურის შენობა და ძირს დასცა შკაფები. კაცთა სიცოცხლეს არა დაჰშავებია-რაო.

*** ჩვენ ადრევე ვაცნობეთ მკითხველებს, რომ გორის ეპისკოპოსმა მამა ალექსანდრემ სთხოვა უწმინდესს სინოდს აღდგენა შიო-მღვიმის მონასტრისაო. ეხლა გაზ. „კავკაზ"-ი სწერს, რომ მთავრობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და ცალკე მონასტრად დაამტკიცა შიო-მღვიმის უდაბნო, რომელსაც დღეის იქით ხარჯად ექნება სარგებელი 21,100 მანათისა, რომელიც ეპისკოპოსმა ალექსანდრემ შესწირა; აგრეთვე მონასტერს უნდა დაუბრუნდეს ძეგვის ბაღი, მისი უწინდელი კუთვნილი მამულები და ყოველივე ქონება, რომელიც უწინ მის ხელში იყო და შემდეგ გადავიდა ფერის-ცვალების მონასტრის ხელში. მონასტრის წინამძღვრად იქმნება ეპისკოპოსი ალექსანდრე და მის სიკვდილს შემდეგ წინამძღვრობა უნდა იყოს ქართველ ვიკართა ხელში. სინოდის განკარგულებით მონაზონთა შორის უნდა მიღებულ იქმნენ რამდენიმე რუსნიც.

*** გაზეთ „ყარს"-ში ვკითხულობთ: 30 ივნისს ხორასნის განყოფილებაში მილიციელთა ყარაულს დასხმია თავს 20 თათარი-ყაჩაღი და ამტყდარა თოფის სროლა, რის გამოც მომკვდარა სამი ყაჩაღი. უკანასკნელთა შორის ორი გამომდგარა უწინ სათათრეთში გავარდნილი და ერთიც უცნობი ყაჩაღი.

*** იგივე გაზეთი იწერება, რომ არდაგანის ოლქაში დიდხანსა სცდილობდნენ სახელმწიფო სასწავლებლის დაარსებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ მცხოვრებთ შეეტანათ ფული სასწავლებლის გასამართავად და შესანახავად. მთავრობაც ხელს შეუწყობდა. აქამდის გროშ-გროშობითა ჰკრებდნენ ფულსა თანხის შესადგენად. როგორც იყო იმოდენა თანხა მოუგროვებიათ, რომ ადგილობრივს მთავრობას შესაძლოდ უცვნია ორ-კლასიანის საქალაქო სასწავლებლის დაფუძნება ქ. არდაგანში; უკვე შენობისათვის გაუღიათ 9,000 მ., რომლითაც ინჟინერმა ლალოიანცმა ამ წლის პირველ ენკენისთვემდის უნდა დაამზადოს მიცემულ გეგმის მიხედვით სასწავლებლის სახლი.

*** გაზ. „ტფილისის ფურცელ"-ში ფრიად საყურადღებო ამბავი ამოვიკითხეთ შესახებ სასამართლო მატიანესი. კავკასიის სამხედრო სასამართლომ განარჩია საქმე პორუჩიკის ონუფრიევისა და პოდპორუჩიკის გოლიცინსკისა, რომელნიც ყუბანის 77-ტე ქვეითა ჯარის რაზმის აფიცრები იყვნენ და ჰბრალდებოდათ ცრუ-ბეზღობა. ონუფრიევს და გოლიცინსკის ტყუილად დაუბეზღებიათ მთავრობასთან, ვითომც მათი თანამსახური პორუჩიკი კისელიოვი ხელმწიფის მოღალატე ყოფილიყოს, კავშირი ჰქონოდეს რუსეთის სოციალ-რევოლიუციონურს შეთქმულობასთან და ევრცელებინოს შეთქმულთა წიგნები და გაზეთი „Народная Воля". სასტიკმა და ბეჯითმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ კისელიოვს არავითარი ბრალი არა აქვს ხელმწიფის წინაშე და რომ ონუფრიევი და გოლიცინსკი ცრუ-მაბეზღარნი არიან. კისელიოვის საქმე წარუდგენიათ ხელმწიფე იმპერატორისათვის. მისს უდიდებულესობას კისელიოვი მართლად უცვნია, მისი საქმე მოუსპია და უბძანებია — ონუფრიევი გოლიცინსკისთან ერთად მიცემულ იქმნენ სამართალში ცრუ-ბეზღაობის გამოვო.

კავკასიის სამხედრო სასამართლოს, როგორც ამბობს „ტფილ. ფურც."-ი, დამნაშავედ უცვნია ონუფრიევი და გოლიცინსკი, რომელთაც, ჯავრისა და ნიშნის მოსაგებად, მოიწადინეს კისელიოვის გაფუჭება მთავრობის თვალში და ტყუილად მოუგონეს ხელმწიფის ღალატი. სასამართლომ ონუფრიევი და გოლიცინსკი სრულებით დაითხოვა სამსახურიდამ. ონუფრიევს გადუწყვიტა რვა თთვით ციხე; გოლიცინსკის აჰყარა ზოგიერთი უფლებანი და უპირატესობანი და გადაუწყვიტა ერთის წლით ციხეში დაპატიმრება.

*** ივლისის 6-ს პირველ პოლიციის განყოფილების ბოქაულმა გლებოვმა დაიჭირა სოფელ ჯალალ-ოღლის, ბორჩალოს მაზრის მცხოვრებელი სტეფან შახპარიანცი, რომელიც ასაღებდა ყალბ 25 მანათიანებს. ეს კაცი გამომძიებლის განკარგულებით ციხეში დააპატიმრეს.

*** ივლისის 5-ს, საღამოს 10 საათზე, რკინის გზის სადგურზე ჟანდარმმა და პოლიციელმა დაიჭირეს ახალ-სენაკის მაზრის გლეხი შარვან დანელია, რომელსაც ხელში ეჭირა და მიჰქონდა ახლად მოპარული ჩამადანი. იმ ჩამადანში სხვა-და-სხვა რამეები ყოფილა სულ 75 მანათისა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. გოჩა-ჯიხაიში, 2 ივლისს. სოფელი გოჩა-ჯიხაიში სიგრძით და სიგანით სამი ვერსტი თუ იქნება, თორემ მეტი-კი არა. ამ პატარა მიწა-წყლით, სახნავ-სათესით, ტყით და საბალახოთი ღარიბს სოფელში ორას კომლამდე მცხოვრებნი არიან დაბუდრებულნი; მათ შორის აზნაურნი (დოლობერიძეები) შეადგენენ თექვსმეტს კომლს და დანარჩენი-კი სულ გლეხობაა. თვით სოფელი წარმოადგენს ვაკე ადგილს. მეხუთედი ნაწილი აქაურის დედულ-მამულისას შეადგენს აზნაურ დოლობერიძეთა საკუთრებას, დანარჩენი ოთხი მეხუთედი-კი გლეხთა საკუთრებაა; თვითოეულს კომლს გლეხისას ისეთი მცირე ნაკვეთი შეხვდება, რომ ძნელად წარმოსადგენია, თუ როგორ ახერხებს აქაური გლეხობა ოჯახის მოვლას და გაძღოლას, მაგრამ ასე თუ ისე იგი მოთმინებითა თვისითა სწევს უღელსა თვისსა... ჩვენს სოფელს საკუთარი მამასახლისი არა ჰყავს; იგი შეერთებულია სხვა სოფლებთან ერთად, და ოთხს სოფელს, სახელდობრ: კუხს, გუბს, ივან-დიდს და ჩვენს გოჩაჯიხაიშს ჰყავს ერთი მამასახლისი. ზემოხსენებულ სოფელთ, რომლებიც ერთს საზოგადოებას შეადგენენ, ეგრედ წოდებულს კუხისას, გვალიდ 1886 წლამდის მხოლოდ ერთი პირველ დაწყებითი სკოლა ჰქონდათ სოფ. კუხში, რადგანაც ეს სოფელი თვისის მდებარეობით უფრო ემხრობა დანარჩენს სამს. ზემოხსენებულ სოფლების და განსაკუთრებით-კი გოჩა-ჯიხაიშის უმიწობას და, მაშასადამე, თუ სიღარიბეს მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მაინცა და მაინც გასაკვირველი არ იქნება, რომ ამ ოთხს სოფელთ მხოლოდ ერთი სკოლა აქვსთ და არა საკუთარი თვითეულს, თუმცა ეს სოფლები კარგად დაშორებულნი არიან ერთმანერთზე. მაგრამ, საქმე ის არის, რომ თუ არ გავიჭირვებთ და ცოტას არ მოვიკლებთ, ისე სოფელი არ აშენდება. სწავლისათვის-კი, რაღა ლაპარაკი უნდა, კაცმა არავითარი ღონის-ძიება არ უნდა დაიშუროს და დაჰზოგოს. გოჩა-ჯიხაიშის მცხოვრებლებმაც ყოველივე საშუალება იხმარეს რომ თავიანთ შვილებისათვის სკოლა გაემართათ. იმათ გამოეცალნენ დანარჩენს სამს სოფელს, ააგეს საკუთარი ქვის შენობა სკოლისათვის, დაიჭირავეს მასწავლებელი

---

ლა ეს ყავახანები ჩაებნელებინათ და ერთი კაცი აღარ მოჩანდა შიგ...

თუმცა ასეთი გაქვავებული იყო, ყრუ, მუნჯი ჩემი ვენეცია, მაინც მხიბლავდა, გულს სიტკბოებით მივსებდა მისი ცქერა და განშორებას ერთი ათად მიძნელებდა. არასოდეს, არასოდეს არ განვშორდებოდი ვენეციას, რომ შემძლებოდა; გარინდებული ვიდექი და ვსტკბებოდი მისის მშვენიერებით და სილამაზით...

სინიორა ჩელესტამ დიდი გულ-კეთილობა გამოიჩინა: ჩუმად იჯდა და არც მე მიშლიდა, ჩუმად, უსიტყვოდ დავმტკბარვიყავ ჩემის საყვარელ ვენეციის სილამაზით. ხოლო როცა ქალაქის საათმა ათი დაჰკრა, ჩელესტამ მხარზე ხელი შემახო და სთქვა, რომ შინ წასვლის დროაო. მაშინვე გონებაზედ ვერ მოველ, ფიქრები ვერ შემოვიკრიბე და ნამძინარევ კაცსავით მივიხედ-მოვიხედე... მინდოდა უხვად დავმტკბარვიყავ სამშობლოს ყურებით, კარგად გამესინჯა ცაც, ზღვაც, დედამიწაც, ყოველივე სიმშვენიერე ვენეციისა, რომ ადვილად წარმომედგინა თვალ-წინ მაშინ... როცა აქ აღარ ვიქმნებოდი!

მერჩერიაში გზაზედ დაგვეწია პროფესორი ვერდანი, რომელიც შინა ბრუნდებოდა, და ჩვენთან ერთად წამოვიდა. სწუხდა, რომ დედაჩემი ტყუილად იშფოთებს გულსაო. ასე ჰგონია, რომ ვენეციაში უფრო-და-უფრო ვრცელდება ხოლერა და ჩემთან მოსვლა მოუწადინებიაო.

— აქ ვერ მოვიყვან დედაჩემსაო, — სთქვა პროფესორმა: — მხოლოდ იმის დასამშვიდებლად, მეტი ღონე არ არის, სამის დღით დათხოვნის ნებართვა უნდა ავიღო სამსახურიდგან და მე თვითონ წავიდე ბოლონიოში.

— მართლა წასვლას აპირობთ?... როდის?—წამოვიძახე მე, რადგან საშინლად მეწყინა ეს ამბავი.

— იქნება ამ კვირის მიწურულებში წავიდეო, — მიპასუხა პროფესორმა: — და ძალიანაც რომ დამაგვიანდეს, ორშაბათს უეჭველად დავბრუნდები. თქვენ ხომ ჯერ არ წახვალთ.

— მე? არა... ჯერ არა მგონია,... წარმოვსთქვი როგორც იყო შეშფოთებით.

— ან რა საჩქაროა, — კვერი დამიკრა ვერდანიმ: — ხუთშაბათსაც რომ წახვიდეთ, მაინც დაგვიანებული არ იქნება... სწორე გითხრათ, ძალიან მეწყინება, უჩემოდ, ჩემ გამოუთხოვებლად რომ წახვიდეთ.

სინიორა ჩელესტა დაბეჯითებით ამბობდა, რომ ჯერ სულ არ უნდა წახვიდეთ და თუ მაინც-და-მაინც წახვალთ... უკანასკნელს ვადამდე ფეხი არ უნდა გასდგათ ვენეციიდგანაო. ამასთან მე კიდევ იმედი მაქვს, რომ არსად წახვალთ და ჩვენთან დარჩებითო.

ასე ლაპარაკით მივედით სახლში და იქ ერთმანერთს ღამე მშვიდობისა ვუთხარით; პროფესორმა ინგლისურად ჩამომართვა ხელი.

არ მეძინებოდა; ბარგი ჩავილაგე და რამდენიმე წიგნიც შევიკარ თან წასაღებად: პატარა გამოცემა დანტეს თხზულებისა, მანცონის სრული თხზულება, იერუსალიმი, კარდუჩჩის პოემები, მაფეის ნათარგმნი შილლერის თხზულებანი... დანარჩენი წიგნები ჯემმა ნორინს ვუფეშქაშე, რომელიც საშინლად ბევრს წიგნებსა კითხულობს. ერთხელ ძალიან გამაოცა.

— თუ გაქვს, მომე რომელიმე უზნეო წიგნიო, — მითხრა ჯემმიმ. თვალები დავაჭყიტე,

— ჰო, რას გაგიკვირდა? ისეთი წიგნი, რომელსაც ახალგაზდა ქალებს არ აძლევენ წასაკითხად. ჩვენ, მასწავლებლები, ისეც სულ ზნეობაზე და მხოლოდ ზნეობაზე ელაპარაკობთ; სახელმძღვანელო წიგნები ხომ ავსებით - სავსეა ზნეობაზე მსჯელობით. მართლაც-და, სულ ხომ მონოზნები და წმინდანები არ იქნებიან... სხვა-და-სხვაობისათვის მაინც ..

არ ვიცი, რა ვუპასუხო; ის წიგნები, რომლებსაც მე ვუტოვებ, უზნეო შინაარსის წიგნები არ არის. რა გაეწყობა, თუ არ წაიკითხავს, სახსოვრად მაინც შეინახავს.

—

გუშინ დიდხანს, დიდხანს ვიყავ ფეხზე და ვერ დავწოლილიყავ სულ უბრალო მიზეზის გამო. ისე მომეჩვენა, ვითომ ოთახში ჰაერი შეგუბებულია, ბული დგას-მეთქი და აპიტომ დარაბები გავაღე. ჩემის სანთლის შუქი მიეფინა ქუჩის იქითა სახლის კედელს, იმ სახლისას, რომელიც ჩვენს პირ-და-პირ არის აშენებული. მიველ ფანჯარასთან და ჩემი ჩრდილი გამოჩნდა განათებულს კედელზედ. ეს ისე არ მიიქცევდა ჩემს ყურადღებას, რომ მარცხნივ იმავ კედელზედ დავინახე მეორე განათებული ალაგი და იქაც ჩრდილი ჩანდა ვილაცა კაცისა, რომელიც, ეტყობოდა, იჯდა და ღრმად ჩაფიქრებულიყო. პირველში ვერ გავიგო: საიდგან იყო მეორე სინათლე, ან ვისი ჩრდილი ჩანდა? შემდეგ მივხვდი: მარცხნივ ჩემის ოთახიდგან, მესამე ოთახი პროფესორ ვერდანისა იყო. უეჭველია, პროფესორიცა ჰფიზლობდა და ფანჯარა გაეღო, რომ წმინდა ჰაერით დამტკბარიყო. ჩრდილი შეინძრა: კაცი წამოდგა და ფანჯარას გადმოეყუდა. ჩვენი ოთახები ისე იყო აშენებული, რომ ერთმანერთის ნახვა ვერ შეგვეძლო ოთახიდგან დღეც-კი: ფანჯარასა და ფანჯარას შუა ბუხარი იყო ამოყვანილი. ჩრდილის მოძრაობაზე კარგად დავინახე, რომ ვერდანიმ ორჯელ მოიღო თავი ჩემის ჩრდილისაკენ; მაგრამ ეს არაფერი, რადგან მეც რამდენჯერმე მივიღე თავი იმის ჩრდილისაკენ. ჩრდილი კვლავ დაიძრა და ხან პატარავდებოდა, ხან დიდდე-

და წარსულს 1886-ს წელს 1-ს ენკენისთვისას გახსნეს საკუთარი სასწავლებელი. სკოლის გახსნისათანავე თუმცა მიღებული იქმნა 65 ყმაწვილი, მაგრამ უადგილობისა გამო ბევრს დაუკეტათ სასწავლებლის კარები. აქედგან დაინახავთ, თუ რამდენად საჭირო ყოფილა ჩვენის სოფლისათვის საკუთარი სკოლა. არ შემიძლიან არ მოვიხსენიო, რომ ჩვენი სოფელი დიდად მადლობელი უნდა იყოს ბ-ნ გიორგი დოლობერიძისა, რომელმაც ხელი მოუმართა მას სკოლის გახსნის საქმეში.

ქუთათური დათიკო

---

**სოფ. ურიათუბანი** (კახეთი), თიბათვის 28-ს. მშვენიერია კახეთი ზაფხულობით და ამიტომაც ბევრნი ქალაქიდგან, სიცხისაგან შეწუხებულები, ესტუმრებიან ხოლმე მას წმინდა ჰაერის ჩასაყლაპავად და გასაგრილებლად. სიამოვნება გაგიტაცებთ, როცა უმზერთ მოსავლით ათას ფერად შემკულს ალაზნის ველს, შუა-ველზე თეთრ ზოლივით გაჭიმულს მდ. ალაზანს და ალაზანს გაღმა, ვეშაპივით გაწოლილს, ცამდის აყუდებულს, დიდს კავკასიონის მთებს, რომლების ძირში გამწკრივებულა სოფლები. დილით გესმის ფრინველების ათას ნაირი ჰიკჰიკი და გალობა, სალამოთი კიდევ მკიდგან მომავალ მუშა ხალხის ღუღუნი და სიმღერა. მაგრამ რამდენადაც მშვენიერი და სასიამოვნოა კახეთის ბუნება, იმდენად სამწუხაროა, რომ კახელებს არა აქვთ არც შეძლება და არც ცოდნა, რომ რიგიანად ისარგებლონ მდიდარის ბუნებითა...

კახელებს ნაკლებად აქვთ ბანკები და დეპოები, რომლებიც ძალიან საჭირონი არიან ხალხისათვის. ზოგიერთა გაღმა-მხრის სოფლებში თუ მოიპოვება ბანკი, თორემ გამოღმა ვერც ერთ სოფელში ვერ შეჰხვდებით. განა ჩვენს სოფელს ურიათუბანში არ შეუძლიანთ ბანკი და დეპო გამართონ? მაგრამ სად არის ამხანაგობა? თუმცა ზოგიერთა პირებს კიდეცა ჰსურთ დაარსონ ბანკი და დეპო, მაგრამ საკმაოდ წევრებს ვერ შოულობენ. ზოგიერთები შეშინებულნი არიან პურის მაღაზიის საქმის ცუდად მსვლელობით და ამიტომაც ჰფიქრობენ, ვაი თუ ბანკისა და დეპოს საქმეც ცუდად წავიდესო. ისე წელიწადი არ გავა, რომ ანგარიშში ასი-ორასი (100—200) კოდი პური არ დააკლდეთ ხოლმე. თუმცა მაღაზიის მმართველნი, ამორჩეული კაცები პურის გაფუჭებას და დაკლებას ცუდს შენობას აბრალებენ, მაგრამ ამდენის პურის გაფუჭებაც არ შეიძლება, თუ თვითონაც არ იყვნენ ამის მიზეზი. საკვირველია, რომ აქამდისინ ყურადღებას არ აქცევენ პურის მაღაზიის შენობას. სიღნაღის მაზრაში მაღაზიები თუნუქით არის დახურული და თელავის მაზრაში-კი კრამიტითაც ვერა ჰხურავენ რიგიანად. დრო არის ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

—

ურიათუბანში ბევრმა იცის წერა-კითხვა და სწავლის მსურველნიც ბევრნი არიან, მაგრამ სამწუხაროდ საკითხავ წიგნებს ვერა შოულობენ ხოლმე. ამას წინედ, ივნისის 24-ს, ჩვენში დღეობა იყო, ნათლის-მცემლობა, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო შორეულ სოფლებიდგანაც და დიდი ვაჭრობაც იყო გამართული. ერთს კაცს ტფილისიდგან წამოეღო პატარ-პატარა წიგნები გასასყიდად. თუმცა პირველი მაგალითი იყო ჩვენს სოფელში წიგნების გასყიდვისა, მაგრამ იმ გამბედავმა კაცმა მაინც რიგიანად ივაჭრა და ბევრი წიგნები გაასაღა გლეხებზე. არ იქნება ურიგო სოფლის წარმომადგენელთ იზრუნონ სასოფლო წიგნთ-საცავის დაარსებაზედ; ამით დიდს სამსახურს გაუწევენ სოფელს. ეს მით უფრო ადვილად ასასრულებელი საქმეა, რომ თანამგრძნობელნიც ბევრი მოიპოვებიან. იმედია, მიცვალებულის თ. დიმიტრი ჰავჰავაძის მემკვიდრენი, რომლებმაც ეკკლესიას უყიდეს შესამოსი და სკოლაში კიდევ დააკეთებინეს ყმაწვილებისათვის სასხდომი სკამები, ამ მესამე გაჭირებაშიაც დაეხმარებიან სოფელს.

წელს კარგი მოსავალია პურისა; ყანების მკას არ მორჩენილან და ლეწვაც ჯერ არ დაუწყიათ; ვენახებსაც ასხია, თუ შემდეგში ნაცარმა და სეტყვამ არ გააფუჭა, —ხეხილი დამძრალია, ნამეტნავად კაკლებს სულ არ ასხია. ძრიელ გრილი ჰავაა და ჟუჟუნა წვიმაც ხშირად გვესტუმრება ხოლმე.

თომა კახელი

---

# რუსეთი

— სამხრეთ იტალიაში და კუნძულ სიცილიაზე ხოლერა გაჩენილა. ამის გამო, ოდესის გენერალ-გუბერნატორის მოადგილის განკარგულების თანახმად, ყოველივე გემი, რომელიც სამხრეთ იტალიის და სიცილიის ნავთ-სადგურებიდამ მოდის, სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ იქნება ჩავარდნილი. ეს ღონისძიება მიღებულია იმიტომ, რომ რუსეთში ხოლერა არ გავრცელდეს.

— კიევის ლიტერატორებს გამოუციათ სიტყვა-კაზმული სალიტერატურო კრებული ამ გვარ სათაურით: „Кіевъ—Вѣрному“ (კიევი, ვერნოს სასარგებლოდ). ეს კრებული თითო მანათად ისყიდება და რაც-კი ფული მოგროვდება, უნდა შესწირონ ვერნის მცხოვრებლთ, რომელნიც უკანასკნელის მიწისძვრისაგან დაზარალდნენ.

— რადგანაც გიმნაზიების მოსამზადებელი კლასები დაიკეტა, პეტერბურგის საქალაქო საბჭოს ზოგიერთი წევრნი ურჩევენ საქალაქო გამგეობას, რომ ამან დაარსოს საქალაქო სკოლებთან მოსამზადებელი კლასები, რომელშიაც ყმაწვილებს მოამზადებდნენ გიმნაზიებისათვის.

— ამ თთვეში აღმოსავლეთ ციმბირში მიდის მთავრობისაგან დანიშნული კომისია ინჟინერის მეჟენინოვის უფროსობით; ეს კომისია გამოიკვლევს, თუ საითკენ გაიყვანონ ციმბირის რკინის-გზა.

— უკანასკნელ დროებში რუსეთის ზოგიერთ სასულიერო წოდების წარმომადგენელთ ყურადღება მიუქცევიათ თავიანთის სამშობლოს ნაშთთა შესწავლისათვის. სარატოვის ეპარქიის სამღვდელო პირნი ეხლა ადგენენ საეკკლესიო წიგნთ-საცავებსა და არხივების სიებს და აგრეთვე შეისწავლიან საყურადღებო ხელთ-ნაწერს ანუ ძველს წიგნს, რომელსაც-კი რაიმე ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ნიჟნი-ნოვგოროდის სამღვდელოებას არხეოლოგიური კომისია შეუდგენია მთელის გუბერნიის ძველ ნაშთთა შესასწავლებლად. პოლტავის სასულიერო სემინარიის მასწავლებლები ადგენენ ამ სემინარიის 150 წლის ისტორიულ მიმოხილვას და ამიტომ სარგებლობენ იქაურ კონსისტორიებისა, ეკკლესიებისა და მონასტრების არხივებითა.

— პეტერბურგის ოლქის სასამართლოში განიხილავენ თურმე ამ ცოტა ხანში ერთს ფრიად საინტერესო საქმეს, რომელშიაც ცოლი და ცოლის და ბრალდებულნი არიან, ქმარი-კი ბრალმდებელია. ახალგაზდა ყმაწვილ-ქალს ძრიელ ჰყვარებია ქაღალდის თამაშობა; წაუგია ჯერ თავისი მზითევი, შემდეგ ძვირფასი ნივთებიც გაუყიდნია და ეს ფულიც ქაღალდში წაუგია. როდესაც ეს ამბავი ქმარს გაუგია, ძრიელ გაჯავრებულა და ცოლისათვის სიტყვა ჩამოურთმევია, რომ თავის დღეში ქაღალდი აღარ ითამაშოვო. მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ ამ ქალსა და თავის დას დაუწყიათ ქაღალდის თამაში და წაგება იმ ფულისა, რომელსაც ქმარი სახლში სახარჯოდ აძლევდა თურმე. ამ უბედურებას ასაცილებლად ქმარს დაუქირავებია სხვა სახლის-გამგე დედაკაცი. მაგრამ ცოლი თავისას არ იშლიდა თურმე და ერთხელ თავის ქმრის სახელობაზე ყალბი თამასუქი დაუწერნია, გაუყიდნია სხვაზე და ფული ისევ იმ ქაღალდის თამაშობაში წაუგია. მოთმინებიდგან გამოსულს ქმარმა სასამართლოსათვის მიუმართავს.

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ვენიდგან გაზეთს „Berl. Tsgebll.“-ს კობურგის პრინცის შესახებ სწერენ, ვითომ პრინცისათვის მიუმართავთ და უკითხავთ, იკისრებთ თუ არა მთავრობასაო? პრინცს უპასუხნია, რომ იგი საჭიროდ არა სცნობს ელოდოს ყველა სახელმწიფოთა თანხმობას და, დასთანხმდება თუ არა ოსმალეთი და ზოგიერთი სახელმწიფონი, იმ წამსვე წავა ბოლგარიაში მთავრობის მისაღებად. მას შემდეგ საქმე იმავე მდგომარეობაშია და უეჭველია სახელმწიფოები ხელ-ახლად მიუბრუნდებიან იმავე საგანს. პრინცს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა გრაფ კალნოკისთან.

ინგლისელი გაზეთები დიდის თანაგრძნობით იხსენიებენ კობურგის პრინცის არჩევას, რომლის გამო ბოლგარიას უქადიან მშვიდობიანობასა და მღელვარებათა დაბოლოვებას. გაზეთ „Times“-სის აზრით, უეჭველია, რომ ინგლისი, იტალია და ოსმალეთი მთავრად აღიარებენ კობურგის პრინცსა და რაც შეეხება ბისმარკს, იგი ვითომც და არ მიემხრობა რუსეთსა და საფრანგეთსა.

**გერმანია.** ამ უკანასკნელს ხანებში გერმანიაში ორი პროცესსი იყო, რომლებმაც გაასამართლეს და სასტიკად დასაჯეს ვითომ და გერმანიის მოღალატენი. ეხლა მოელიან მესამე პროცესსა. ამ გზობით მსაჯულთა წინაშე წარსდგება კაბანისი და მის შემდეგ გაირჩევა დიდი პროცესსი გესლინის საქმის მოწამეთა.

უკანასკნელს პროცესში ბრალდებულთა შორის მომეტებულის ყურადღების ღირსია კლეინი, მოდგმით ელზასელი და ქვეშევრდომობით გერმანელი. კლეინი საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომიანობის დროს მსახურებდა საფრანგეთის ჯარში და პრუსიელებს ებრძოდა. კლეინმა აღიარა, რომ იგი სხვა-და-სხვა ცნობებს ატყობინებდა საფრანგეთს შესახებ გერმანიის ციხე-სიმაგრეთა, მაგრამ თავს მაინც ჯაშუშად არა სცნობდა. კლეინი ამბობდა, მე ჩემს თავს ფრანცუზად ვსცნობ და საფრანგეთი მიყვარსო, და თუ რამე ჩავიდინეო, მხოლოდ საფრანგეთისადმი სიყვარულის გამოო. რაიცა საფრანგეთისათვის მოვიქმედე, იმას გერმანიისათვის მიღლიონნებიც ვერ მაკასრებინებენო. მე დამნაშავე მხოლოდ იმაში ვარ, რომ თავი დავაპატიმრებინეთო. როგორც სჩანს, კლეინი მხოლოდ საფრანგეთისადმი სიყვარულით ხელმძღვანელობდა და გერმანიისადმი სიძულვარით. ამ საქმეში ნათლად გამოისახა, თუ როგორის თვალით უყურებენ გერმანიას ფრანცუზები და ელზასელები. კლეინს სამსჯავროს მიუსაჯა ექვსის წლით კატორღა და ათის წლის განდით ჩამორთმევა ყველა უფლებათა და უპირატესობათა.

გერმანელ დამთავრებულ პატრიოტებმა ომი გამოუცხადეს სტრასბურგის უნივერსიტეტს მხოლოდ იმისთვის, რომ უნივერსიტეტი არა სცდილობს ელზასის გაგერმანელებასაო. ელზასელების სიძულვარეს გერმანიისადმი უნივერსიტეტს აბრალებენ. საქმე იქამდის მივიდა, რომ საუკეთესო პროფესსორებმა განიძრახეს უნივერსიტეტის დატოვება. ზოგიერთებმა სამუდამოდ დასტოვეს კიდეც უნივერსიტეტი და ზოგნი-კი ელზას-ლოტარინგიის მთავარ-მართებლის თხოვნით ისევ უნივერსიტეტში დარჩნენ. პროფესსორებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ უნივერსიტეტი არ უნდა მიზდევდეს ელზასელების გაგერმანელებასაო.

---

ბოდა. აშკარა იყო, რომ პროფესორი ბოლთასა სცემდა თავის ოთახში. როცა გავინაბებოდი, კარგად მესმოდა იმის ფეხის ხმა. ორჯელ კინაღამ რაღაცამ არ დამძლია, მინდოდა დამეყვირნა ვერდანისათვის: „ღამე მშვიდობისა“-მეთქი, მაგრამ ორჯელვე ეს სიტყვები ენაზედ დამადგა და ვეღარ აღმოვსთქვი. თორმეტს ერთი მეოთხედი აკლდა საათისა, რომ ჩემის ფანჯრის დარაბები მივხურე.

ოთხშაბათი, სალამო, 16 ივნისი.

დღევანდელმა დღემ ისე გაირბინა, რომ არა გამიკეთებია-რა: საგზაოდ საჭირო ნივთების ვაჭრობასა და ნაცნობებთან გამოსათხოვებლად სიარულში ამოვალამე. აგერ, ჩემს სტოლზედ ხუთი-ექვსი უბრალო ნივთი აწყვია, რომელიც მეგობარ-ქალებს უნდა დავურიგო სახსოვრად. თქმა არ უნდა, რომ ყველა ეს ნივთები იაფის ფასის ნივთებია; ან ძვირფასს როგორ ვიყიდდი, სად ვინ რა მომცა!.. ადრე ვაჭრები ნელა, ნადიმად გადმოგიწყობდნენ ხოლმე საქონელს და გულგრილად მოელოდდნენ, ენახათ რას იყიდისო; ეხლა თითქოს სადმე მიეშურებიან, რაც შეუძლიანთ, ჩქარობენ საჭირო ნივთები მოგყიდონ და გამოგისტუმრონ. საზოგადო მწუხარებაა. ვენეცია დაცარიელებულია; სულაც რომ დაჰკეტონ დუქნები, მგონი, არავინ არაფერს ინაღვლებს: სულიერი ადამიანი არა ჰპჭანებს ამ დუქნებში. ყველანი უმადურნი არიან და უჭველია ჰკიცხავენ ვისმე და ამიზეზებენ ამ უბედურებას: ჰკიცხავენ იმ მცხოვრებელთაც, რომელნიც იხიზნებიან, ჰკიცხავენ გარეშე ქვეყნელთაც, რატომ არ მოდიან ვენეციაშიო, ქალაქის საბჭოს, ხოლერას, კარანტინებს, ექიმებს და ავადმყოფებს... რასაკვირველია, ყველაზედ მეტად ავადმყოფნი არიან დამნაშავენი: ისინი რომ ავად არ გამხდარიყვნენ!!...

როცა პროფესორი ვერდანი შემოვიდა პურის საჭმელად, ჩვენ სუფრას ვუსხედით კიდეც. პროფესორმა ხელი გამომიშვირა, დაჯდა თავის ჩვეულებრივს ადგილას, ჩემსა და ჯულიას შუა, და წამოწითლდა; მე ვიგრძენ, რომ მეც წამოვწითლდი. რადა? იქნება იმან წამოგვაწითლა, რომ გუშინ ერთმანერთს თვალ-ყურს ვადევნებდით. მინდოდა მომელაპარაკნა ვერდანისთან, მაგრამ ჯულია თვალებს არ აშორებდა პროფესორს და მეც ისევ დაჩუმება ვარჩიე.

საკვირველი ახირება იცის ჯულიამ. ერთხელ პროფესორმა სთქვა, რომ თუმცა მეცნიერებას მივსდევ, მაინც საშინლად მიყვარს პოეზიაცაო, და აგერ რამდენიმე დღეა ჯულია ეკეკლუცება პროფესორს და ყოველს სიტყვას კუდივით გამოაბამს ხოლმე რომელისამე პოეტის ლექსსა. დღეს რომ თავის მამიდას სიტყვა არ გაეწყვეტინებინა ჯულიასათვის, მთელს კონცერტს გაჰმართავდა ეს პრანჭია ქალი სადილობის დროს. ჯულიამ დაიწყო მღერა გამოჩენილის კარდუჩჩის სიმღერისა: „ხარი“; სინიორა ჩელესტამ თავი ვეღარ შეიმაგრა და წამოიძახა:

— აჰა! ეხლა ხარზე დაიწყო! აი, ხორცი ჰამე და ნუ ჰკრიჰინებ უთავბოლოდ.

ამისთანა უეცარმა და მოულოდნელმა მოქმედებამ სინიორა ჩელესტასამ ფრთები შეაკვეცა ჩვენის საფოს ოცნებობას.

რაღა დავუმალო ჩემს თავს: ჯულია დღითი-დღე უფრო და უფრო მძულდება და მძაგდება. იქნება ვერ მიპატიებია, რომ... მე იმ თავიდგანვე არ ვიყავი ძალიან მხიარულის და სუმბუქის ხასიათისა; ყოველივე დარდი, მოლოდინი მერმისისა და ამასთან იმის ფიქრიც, რომ სამშობლოს უნდა გავშორდე-მეთქი, ადრევე მიკარგავს დროს გატარების ხალისს და შუბლს მიკრავს. ვიცი, რომ სულელი და უცოდინარი არა ვარ, მაგრამ როცა ჯულია ჩვენთან არის, ტვინი მიყინდება და ენა მებმება. როცა ის გაჭიანურებით ლაპარაკობს და ბაასობს, მაშინ მე ვმუნჯდები. ამას გარდა, როცა ჯულია ვერდანს ესაყვარლება და ეთავაზება, მაშინ ისე მომდის ჯავრი, რომ ძნელად თუ კაცმა სიტყვა აღმოამათქმევინოს: ან ჰო-ს ვიტყვი, ან არა-ს. ძალიან ცუდი, ძალიან საძაგელი ხასიათი მქონია და აქამდე-კი არ ვიცოდი. ტყუილად არ არის ნათქვამი, „ძნელად იცნას კაცმა თავი თვისი“-ო... ისევე, როგორც სხვები.

მაგალითებრ, თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ ცნობის-მოყვარეობა მჭირდა სენად, და რაც-კი გუშინ მე ჩავიდინე, იმას სხვა არავინ ჩაიდენდა, თუ არ ცნობის-მოყვარე კაცი.

შუა-ღამეს აღარა უკლდა-რა, რომ ბნელაში წამოვდექ, ტანთ ჩავიცვი, ნელა, ძალიან ნელა გავაღე დარაბები და თავი გავყავ ფანჯარაში. მინდოდა გამეგო: ეძინა, თუ ეღვიძა პროფესორს; ღია ჰქონდა ფანჯარა, თუ მოხურული; მუშაობდა, თუ არა... მე დავინახე ადრინდელისამებრ ჩვენის სახლის პირ-და-პირ კედელზედ სანთლის შუქი; შუქზედ ვილასიც ჩრდილი მოჩანდა და ეს ჩრდილიც წარსულისამებრ მოძრაობდა აქედიქით... საკვირველი ჩვეულება ჰქონია პროფესორ ვერდანის მუშაობის დროს... ადრინდელებრ პროფესორი რამდენისამე წუთის შემდეგ ფანჯარაზე გადმოეყუდა. ტანისამოსში უფრო მაგრად გავეხვიე და სულ-განაბული ვივიდექი იმ დრომდე, ვიდრე პროფესორი ვერდანი ფანჯარას მოჰხურამდა.

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბები

— შვეციის მწერალი-ქალი ემილია ფლიგარე-მარლეანი, რომლის რომანებიც ერთს დროს ძალიან გავრცელებული იყო, 8 მარიამობისთვეს ამა წლისას მე-80 წელში გადადგება თურმე. ამის გამო ეხლავე დაიბეჭდა შვეციაში ვრცელი ბიოგრაფია. ამ მწერალ-ქალს ეხლა გამოუცია თავის კალმის პირველი ნაწარმოები, რომანი „ვალდემარ კლეინი“, 1838 წელს დაწერილი. 1888 წ. სრული 50 წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ემილიამ კალამს მოჰკიდა ხელი. შვეციის აკადემიას ეს მწერალი-ქალი ჯერ ისევ 1862 წ. ოქროს მენდლით დაუსაჩუქრებია ლიტერატურაში კეთილ-მოღვაწეობისათვის.

— 2 ივლისს პარიჟში საპატიო ლეგიონის ორდენის დაწესებასა დღესასწაულობდნენ. ამ ორდენის ღირსად უცვნიათ მწერალი გუი დე-მოპასანი, ხოლო საფრანგეთის რომანისტს, რომელიც ჰაეროსტატით სეირნობდა ამ დღეებში, უარი უთქვამს ორდენზე.

— ლონდონში შემდგარა ახალი საზოგადოება მწერლებისა. ეს საზოგადოება ორჯელ შეკრებილა და სჯა ჰქონია იმის თაობაზედ, რომ ნება მივცეთ მწერალ-ქალებსაც ჩაეწერნენ ჩვენს საზოგადოებაში, თუ არა. ამასთან გამოუცხადებია ამ საზოგადოებას, რომ ჩვენ იმიტომ-კი არ ავსტეხეთ სჯა: მივიღოთ თუ არა მწერალი-ქალებიც წევრებად, ვითომ ქალებს ჩვენს საზოგადოებაში წევრად ყოფნის ღირსად არა ვსთვლიდეთ, არამედ იმიტომ-რომ არ გვინდა ქალებმაც მონაწილეობა მიიღონ ხოლმე მწერლობაში, რადგან ამის გამო მწერლები მრავლდებიან და შემოსავალი აკლდებათ გაჟკაც-მწერლებსაო.

— ვენაში ერთის სამხეცოს სპილოს მიუგნია ამას წინად ლუდით სავსე კასრისათვის, გადაუხდია თავი და 10 თუნგი ლუდი დაულევია. ამის გამო ისე დამთვრალა სპილო, რომ აურ-ზაური ატეხნია და საღამოს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება აღარ სდომებია. ძლივ-ძლივობით დაუმორჩილებიათ სპილო, ესეც იმის წყალობით, რომ სიმთვრალით სპილოს ძილი მოჰრევია, დაუძინია და მეორე დღეს სრულიად ფხიზელს გამოუღვიძნია.

— ფიუმში მკვიდრთ კინალამ ნაჭერ-ნაჭერად უქცევიათ ერთის ვენგრიის გაზეთის კორრესპონდენტი, მასწავლებელი სიგიერტო, იმის გამო, რომ სიგიერტოს რაღაც კიცხვის წერილი დაუბეჭდია გაზეთში ფიუმის ქალებსა და მანდილოსნებზე.

## დეპეშა

6 ივლისი

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით უნივერსიტეტებში სტუდენტად შესვლა ამას იქით რამდენადმე გაძნელებული უნდა შეიქმნეს. მაგალითად, პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღებენ მხოლოდ იმ ყმაწვილებს, რომელთაც შეუსრულებიათ სწავლა პეტერბურგის ოლქის გიმნაზიებში და თანაც ამ ყმაწვილების კეთილ-საიმედოება დამტკიცებული უნდა იყოს გიმნაზიების მმართველობისაგან. იმავ უნივერსიტეტში შეუძლიანთ შესვლა იმ პირთაც, რომელნიც გარეშე მოსულან ეგზამენის დასაჭერად პეტერბურგის ოლქის გიმნაზიებში, უკეთუ წინედ როდისმე უსწავლიათ, ანუ უცხოვრიათ ამ ოლქის გუბერნიებში. მხოლოდ მაშინ მიიღებენ პეტერბურგის უნივერსიტეტში სხვა სამოსწავლო ოლქის შეგირდებს, უკეთუ მათი მშობელნი, ნათესავნი და მზრუნველნი გამუდმებით ცხოვრობენ პეტერბურგში და განსაკუთრებულის ხელ-წერილის მიცემით თავს იდებენ, რომ განუწყვეტლივ თვალი ადევნონ მიბარებულს სტუდენტსა, რომელიც ამ შემთხვევაში უთუოდ უნდა თავისთან აცხოვრონ. სხვა უნივერსიტეტებიდამ ანუ მაღალ-სასწავლებლებიდამ პეტერბურგის უნივერსიტეტში გადმოიყვანენ სტუდენტს რაიმე საოჯახო გარემოებათა გამო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მისნი მშობელნი, ნათესავნი და კეთილ-საიმედო მზრუნველნი ხელ-წერილს მისცემენ, რომ მუდამ თვალ-ყურს დაიჭერენ სტუდენტზე და თავიანთთან აცხოვრებენ. სტუდენტებს, ურიათა ჩამომავლობისას, მიიღებენ პეტერბურგის უნივერსიტეტში იმ ანგარიშით, რომ მათი რიცხვი არ აღემატებოდეს ასის თავზე სამს კაცსა შედარებით იმ რიცხვთან, თუ რამდენი სტუდენტიც უნდა მიიღონ საზოგადოდ ყველა ჩამომავლობისა. სტუდენტმა შემოსვლისათანავე უნდა აძლიოს ყოველ ნახევარ წლის დასაწყისში 25 მანათი უნივერსიტეტის სასარგებლოდ. სწავლების ფასი, რომელიც აქამომდე შეჰქონდათ სტუდენტებს პროფესსორების სასარგებლოდ, ისევ უწინდელივე დარჩება. ვინც მომავალს აგვისტომდის შესულა უნივერსიტეტში, უნდა აძლიოს უნივერსიტეტის სასარგებლოდ უწინდელი გადასახადი 5 მანათი.

რადგან ბერლინის ბირჟა უცებ დასუსტდა, ვექსილების ფასი ძრიელ დაეცა: ლონდონზე 21, ბერლინზე 178³/₄, პარიჟზე 221³/₄; ოქრო 9 მანათი და 36 კაპ. ჰფასობს. ძირის ფულის ბაზარი ძალიან სუსტად იყო.

ბერლინი. დღევანდელ ბირჟაზე ბევრი ბაასი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია „С.-Петербур. Вѣд.“-ს სტატიამ, რომელშიაც ნაამბობია, ვითომც რუსეთის მთავრობას მისცეს წინადადება, რომ რაც-კი რუსეთში ოქროსი და ვერცხლის ვალია, სულ ქაღალდების ვალად იყოს ჩარიცხულიო.

7 ივლისი

პეტერბურგი. სამხედრო უწყებაში შემდეგი ბძანება გამოსულა: საგენერალო შტაბის ობერ-აფიცრები, რომელნიც აკადემიაში შესვლამდე როტისა ან ესკადრონის უფროსად არა ყოფილან, ვიდრე პოდპოლკოვნიკობას მიიღებდნენ, ერთს წელიწადს როტისა ან ესკადრონის უფროსად უნდა იყვნენ. მერე კიდევ, როდესაც პოდპოლკოვნიკობას მიიღებენ, ხელმეორედ უნდა იმსახურონ ქვეითა ჯარში 4-ს თთვეს და ცხენოსანს ჯარში 6-ს თთვეს, და მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ სადივიზიო შტაბის ან ჯარების რომელისამე კერძო ნაწილის უფროსობა მიიღონ.

სიმლა. 30.000 აჯანყებულს თავი მოუყრია ატაგაიში და გარდუწყვეტია, — ემირის ჯარებს წინააღმდეგობა გავუწიოთო. აჯანყებულებს მიჰმხრობიან აგრეთვე ჰერათის მკვიდრნიც — ჰერათში არეულობა არ ისპობა. ემირს ბადაშხანიდამ 4 რაზმი გამოუყვანია ქაბულის მეციხოვნეთა დასამშვიდებლად.

პარიჟი. პალატას შეუწყნარებია პროექტი, რომლის ძალით ქვეითა ჯარების ერთი კორპუსი გასაშინჯად საომარ ფეხზე უნდა იყოს დაყენებული. სამხედრო მინისტრს უთქვამს, რომ ამის გულისთვის მხოლოდ 20,000 ჯარის კაცი და 10,000 ცხენი იქნება საჭიროვო.

ინსბურგი. აქ მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი. გზაზედ გამოვლით იმპერატორმა ნახა ბრეგოვეცში ბავარიის პრინცი-რეგენტი.

### პეტერბურგის ბირჟა, 3-ს ივნისს ფასები:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 34 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 181¹/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . | 262 | — » | — › |
| — მეორისა . . . . | 252 › | — › | — › |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — › | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მკათათვე 31 დღით არის

**8 დღე ოთხშაბათი.** წმ. დიდ. მოწ. პროკოპისა. კათოლ. ელისაბედისა და კირიაკესი. სომეხ. მე-3 დღე ფერის-ცვალების მარხვისა. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვის შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—42, ჩადის 7—30. დაბ. მთვარისა ღამის 11 საათსა და 54 წუთზედ.

**9 დღე ხუთშაბათი.** წმ. პანკრატისა და კირილესი. კათოლ. ანატოლიისა და კირილესი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—43, ჩადის 7—20. მთვარე 2 დღისაა.

**10 დღე პარასკევი.** 45 მოწამეთა ნიკოპოლისს. კათოლ. ფელიციტასი და ამალიასი. ჭეშმარიტი შუა დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—28. მთვარე 3 დღისაა.

**11 დღე შაბათი.** წმ. ქალწ.-მოწ. ევფემიასი. კათოლ. პელაგიასი და იოანნასი. სომეხ. ხსენება ძველის კიდობანისა და დღესასწაული ახლისა—წმ. ეკკლესიისა. ნავაკატიკი (ერბო და თევზი ეჭმევათ). მუს. მე-3 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—27. მთვარე 4 დღისაა.

**12 დღე კვირა.** ღირსისა იოანესი, ევთიმისა და გაბრიელისა ათონელთა. კათოლ. გვალბერტისა, ფელიქსესი, გილიარისა. სომეხ. ვარდავარი (ფერის-ცვალება უფლისა). მუს. მე-4 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—26. მთვარე 5 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

#### ნიხრი

1 ივლისიდამ 1 თიბათვემდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | |
| › 2 › | 2¹/₂ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3¹/₂ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | 5 | › |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | › | › |
| მე-3 — . . | 7 | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 6 | › |
| › 2 › | 13 | › |
| სუკი. . . . | 8 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | › | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან. ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიი ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

### სათეატრო განცხადება

ამ წლის ოქტომბრის თთვის დამლევიდამ დაიწყობა ქართული წარმოდგენები ბ-ნ ფორკატის ანტრეპრენიორობით ახალად აშენებულს ბანკის თეატრში და ამიტომ ვსთხოვთ დასში შესვლის მსურველთ როგორც ძველთა, აგრეთვე ახალთა, რომ თავის თხოვნით მოჰმართონ ამ ადრესით: ვერა, მოსკოვის ქუჩა, პავლოვის სახლებში, მე-7 №-რი.

რწმუნებული ბ-ნ ფორკატისა
(10—9) გ. აბაშიძე

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეე-ქვსისა . . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფიელ ერისთავისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფიელ ერისთავისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფიელ ერისთავისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოწხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჟურნალის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მასი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თეალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა. . . . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . , | › | 30 |

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

**II**

დავით გურამიშვილი

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ტისორიული შენიშვნები. (10—10)


Дозв. цен. Тиф. 7 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე